

საქართველოს

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

რესპუბლიკა

№33 (10036) 2026 წლის 19 მარტი, ხუთშაბათი

„გზიანი ღამე“ გუდამ იკაშკაშებს!




06. 2-5 83.

მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმა ილია II-ის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი აღასრულა

„გზონი, კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსმა და მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმა, წმიდა გიორგის საპატრიარქო ტაძარში წმინდანის ხსენებულ ილია II-ის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა“, – ინფორმაციას მსოფლიო საპატრიარქო ავრცელებს. როგორც ცნობილია, სამგლოვიარო ცერემონიას მსოფლიო საპატრიარქოს წმინდა სინოდის წევრები და საქართველოდან ჩასული სასულიერო პირები ესწრებოდნენ. პანაშვიდის დასრულების შემდეგ, პატრიარქმა ბართლომეოსმა შეკრებილს სიტყვით მიმართა და განსვენებული პატრიარქის მრავალწლიან ღვაწლსა და მის როლზე ისაუბრა არა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის, არამედ მთელი მართლმადიდებელი სამყაროს წინაშე.

საქართველოს მთავრობისგან:

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, მიტროპოლიტისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის დაკრძალვის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, მთავრობის ადმინისტრაციაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პრეზიდენტი მიხეილ ყაველაძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, თბილისის მერი კახა კალაძე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი მამუკა მღვინიაძე, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ანზორ ჩუბინიძე და მინისტრთა კაბინეტის წევრები მონაწილეობდნენ. სამუშაო შეხვედრაზე აღინიშნა, რომ შეიქმნება სახელმწიფო კომისია, რომელიც პატრიარქის დაკრძალვის საორგანიზაციო საკითხებზე იმუშავებს. ასევე, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ჩაერთვებიან საპატრიარქოს კომისიის მუშაობაში.



უმკითხველი დანაკარგი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისგან

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, მიტროპოლიტისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის გარდაცვალების გამო. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია უსამძიმრებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელთა და მრევლს, ასევე სრულიად საქართველოს საზოგადოებას ამ უმძიმესი დანაკარგის გამო.

ზურაბ სუხშირიძე
„დისკუსია“, „დებატები“
... და არარსებული
„განათლებლის
რეფორმის კონცეფცია“!

სიმონ კილაძე
ზარღ და გოლი:
სტალინი მარტო
წარსულს არ ეკუთვნის,
ის მომავლის ისტორიის
შემქმნელიც არის!

ანზორ თოთიაძე
უსხოვლები ქართველთა
სილაგაზის შესახებ

სიმშვიდისა და რწმენის საყრდენი

ბიძინა და ეკატერინა ივანიშვილები: საქართველომ დაკარგა განსაკუთრებული, გამორბივი მგრუნველობით გამოჩენილი პიროვნება, რომელიც საკუთარი სიტყვითა და საქმით უკეთესობისკენ უბიძგავდა თითოეულ ადამიანს – გუსამბიძრებთ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ამ უდიდეს დანაკარგს.

რა თქმა უნდა, ვუსამბიძრებთ სრულიად საქართველოს, თითოეულ ქართველს, მთელ ერს, რადგან უწმინდესისა და უნეტარესის სახით ჩვენმა ქვეყანამ და ხალხმა დაკარგა სიმშვიდის, სიმბრძნისა და რწმენის მტკიცე საყრდენი, სულიერი მამა, რომელიც ურთულეს დროსაც კი იმედს უნერგავდა და აერთიანებდა ჩვენს ხალხს. საქართველომ დაკარგა განსაკუთრებული, მამობრივი მზრუნველობით გამოჩენილი პიროვნება, რომელიც საკუთარი სიტყვითა და საქმით უკეთესობისკენ უბიძგავდა თითოეულ ადამიანს. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა იყო, არის და მომავალშიც დარჩება საკუთარი ხალხისა და ქვეყნის წინაშე თავდადებისა და უანგარო მსახურების სიმბოლოდ. ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ილია მეორეს სა-

ხელი მტკიცედ უკავშირდებოდა რწმენის, ტრადიციების და ეროვნულ იდენტობის დაცვას. მისი გარდაცვალებით ჩვენი ისტორიაში დასრულდა ეპოქა ადამიანისა, რომელიც ღირსეულად და მუხლჩაუხრელად ასრულებდა საქართველოს სულიერი მამის როლს, საპასუხისმგებლო და ამავე დროს, საპატიო მისიას. დასრულდა ეპოქა წინამძღოლისა, რომელმაც არაერთხელ გაგვიყვანა სამშვიდობოს და ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის გულში განსაკუთრებული სინათლე დატოვა. მისი სიკეთე, სიმბრძნე და სიტყვა მუდამ დარჩება ჩვენს მეცნიერებაში, როგორც მაგალითი იმისა, თუ რას ნიშნავს ჭეშმარიტი თავმდაბლობა და სიყვარული ადამიანისა და სამშობლოს მიმართ. კიდევ ერთხელ ვუსამბიძრებთ სრულიად საქართველოს, ვიზიარებთ ამ უდიდეს ტკივილს და ვლოცულობთ მისი სულის მოსახსენიებლად. მარადიული ხსოვნა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის – ილია მეორის სულს.

სიყვარულის, მიტევების, იმედის პატრიარქი

სრულიად საქართველო კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე

93 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ამის შესახებ განცხადება საქართველოს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, მუჟყ მღვდელმთავარმა „კავკასიის მედიცინის ცენტრში“ 17 მარტს, დამის 10 სთ-ზე გააკეთა.

ილია მეორე (ერისკაცობაში – ირაკლი გიორგის ძე შილაშვილი) 1933 წლის 4 იანვარს ორჯონიკიძეში (ჩრდილოეთ ოსეთი) გიორგი შილაშვილისა და ნატალია კობაიძის ოჯახში დაიბადა. 1960 წელს დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია. 1957 წელს ზერად აღიკვეცა და ილია ეწოდა; 1957 წლის 18 აპრილს სიონის საპატრიარქო ტახტზე ხელდასმულ იქნა იეროდიაკონად; 1959 წლის 10 მაისს წმინდა სერგის მონასტრის ლავრაში – მღვდელმონაზონად; სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაინიშნა ბათუმის საკათედრო ტახტში მღვდელმთავრად; 1960 წლის 19 დეკემბერს აღყვანილ იქნა – ილუმენის, ხოლო 1961 წლის 16 სექტემბერს არქიმანდრიტის ხარისხში; 1963 წლის 26 აგვისტოს დაინიშნა კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად შემოქმედელი ეპისკოპოსის ტიტულით; 1963-1972 წლებში იყო მცხეთის სასულიერო სემინარიის პირველი რექტორი; 1967 წელს გადაყვანილ იქნა აფხაზეთის ეპარქიაში; 1969 წელს აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში; 1977 წლის 9 ნოემბერს დადგინდა პატრიარქის მოსაყდრედ. კათოლიკოს-პატრიარქად მაშინდელი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი 1977 წლის 23 დეკემბერს, სი-



ონის ტახტზე გამართულ მეთორმეტე საეკლესიო კრებაზე ერთხმად აირჩიეს. იმავე წლის 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის ტახტზე გაიმართა პატრიარქის ინტრონიზაცია.

ილია მეორის სახელს უკავშირდება საქართველოში საბჭოთა პერიოდის დასრულების შემდეგ აღდგენა

და აშენება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, სასულიერო სასწავლებლების და გიმნაზიების გახსნა, ეპარქიების, მრევლისა და სასულიერო პირთა რაოდენობის ზრდა, საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავება, არაერთი მნიშვნელოვანი გამოცემა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო ნაშრომები.

ილია მეორის მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია 1990 წელს მსოფლიო საპატრიარქოს მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას. ილია მეორეს დაწერილი აქვს 20-ზე მეტი ხატი, რომელთა შორის გამოჩენილია ყოვლადწმინდა სამება. უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, თანამედროვე ქართულ ენაზე გამოცემა მიზლია, არაერთი საღვთისმეტყველო კრებული, პროზურა და წიგნი. ილია მეორემ ასევე დაამკვიდრა ჩვილთა საყოველთაო ნათლობის ტრადიცია, – საღვთისმშობლის მიხედვით 35 წლის მინიმუმ 50 000 ქართველი!

ილია II-ს 22 მარტს სიონის ტახტში დაკრძალავენ

ამის შესახებ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომის შემდეგ, მუჟყ მღვდელმთავარმა განუცხადა. „დაკრძალვა იქნება კვირას, სიონის საკათედრო ტახტში, პატრიარქის სურვილისამებრ. ახლომდებარე დატოვა ასეთი სურვილი.

ეპოქალური პიროვნება, ერისა და ქვეყნის წინაშე ძალიან დიდი დამსახურება აქვს, როგორც სულიერად, ისე მატერიალურად, ყველა მხრივ. პატრიარქი იყო სიყვარულის პატრიარქი. არ არსებობს ადამიანი, მით უმეტეს, ქრისტიანი, რომ მისი უწმინდესობა არ უყვარდეს“...

მუჟყ შიო:

ღვთივ განისვენა სრულიად საქართველო კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. ის იყო ეპოქალური ადამიანი, რომელიც უდიდესი დანაკარგის მთელი მსოფლიო პარტლგადიდაბელი ეკლესიისთვის!

ძალიან მძიმეს ახლა იმის თქმა, რაც უნდა მოგახსენოთ, ამ რაზმდენიმე წუთის წინ ღვთივ განისვენა სრულიად საქართველო კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

ეს იყო ეპოქალური ადამიანი, უდიდესი დანაკარგის მთელი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიისთვის. მინდა, მივუხსნა ყოველ ქართველს, მთელ საქართველოს, ჩვენს ეკლესიას და მთელ საქრისტიანოს. მთელი ეპოქა შექმნა. მის შესახებ რამდენიმე სიტყვით ძალიან რთულია საუბარი, იმდენად დიდ პიროვნებაზე ვსაუბრობთ. მისი მემკვიდრეობა, მისი ღვაწლით ღმერთმა ხელახლა მოაქცია საქართველო ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე, ის იყო დიდი აღმშენებელი ჩვენი ეკლესიის, როგორც ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ასევე გაღატაკებით მნიშვნელობით და დიდი ჩვენი გლოვა.

კიდევ ერთხელ მინდა, მოგისამძიმოთ ყველას, მთელ საქართველოს, მაგრამ ასეთი დიდი ადამიანები როდესაც გვტოვებენ, არის ასევე ნუგეხიც იმაში, რომ ჩვენ შევიძინეთ ზეციერი მფარველი, მთელმა საქართველომ და ყოველმა ჩვენგანმა, ვინაიდან ის ჩვენი მამა იყო, არის და იქნება. ჩვენ ვართ მის ეპოქაში, ჩვენმა მთელმა შეგნებულმა ცხოვრებამ გაიარა მის ეპოქაში, მისი აღზრდილები ვართ, მისი შვილები ვართ. ასე რომ, არ ვიცი, ღმერთმა გავგაძლიეროს ყველა. იმედი მაქვს, მისი მფარველობა, მისი ლოცვა გავრცელდება და კიდევ უფრო განაპირობებს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ურთიერთსიყვარულს და გაძლიერებას, როგორც სულიერს, ასევე სახელმწიფოებრივს. ღმერთმა აცხონოს მისი სული და მისი წმინდა ლოცვები შეგვენით ყველას!

მიხეილ ყაველაშვილი:

ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ჩვენი დედაეკლესიის გაძლიერებაში და აღმშენებლობაში. უწმინდესის ნახევარსაუკუნოვანი, ეპოქალური მოღვაწეობა სამშობლოსა და ერის წინაშე ერთგულების განუმეორებელ მაგალითად დარჩება, ხოლო მისი სიბრძნე და სიყვარული ღრმა კვალს დატოვებს თითოეული ჩვენგანის გულში.

მთელი ამ დროის განმავლობაში ის უანგაროდ ზრუნავდა საქართველოზე და ჩვენი ხალხისთვის მტკიცე საყრდენდაც იქცა. პატრიარქის სიბრძნე და მამობრივი სიყვარული ყველას ძალიან დაგვაკლდებდა.

კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ სრულიად საქართველოს ამ უდიდეს დანაკარგს, კათოლიკოს-პატრიარქის ოჯახს, სასულიერო პირებსა და მორწმუნეებს კი ამ უმძიმეს წუთებში უფლის შემწეობასა და სულიერ სიმტკიცეს ვუსურვებ.

ირაკლი კობახიძე:

მუჟყასეგელია ილია მეორის ღვაწლი სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საქმეში

სრულიად საქართველო ვუსამძიმრებ ჩვენი ერის სულიერ მამას, სრულიად საქართველო კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის გარდაცვალებას.

მისი გარდაცვალებით დასრულდა უდიდესი ეპოქა ჩვენი დედაეკლესიისა და ქართული სახელმწიფოს ისტორიაში. უწმინდესის მწყემსმთავრობის პერიოდი ჩვენი ქვეყნისთვის ურთულეს, გარდამტეხ წლებს დაემთხვა. ამ ისტორიულ გზაზე იგი მუდმივად რჩებოდა ერის სულიერ წინამძღ-

ვრად და ერთიანობის სიმბოლოდ. პატრიარქმა საკუთარი სიმბრძნით, მოყვასისადმი სიყვარულით, უსაზღვრო მთმიანებითა და მიტევების უნარით შეძლო ჩვენს გულში რწმენის განმტკიცება.

უწმინდესის ღვაწლი სცდება წმინდა სასულიერო განზომილებას. ერთგული თვითმყოფადობის შენარჩუნების, ტრადიციების გადარჩენისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საქმეში ილია II-ის ღვაწლი ფასდაუდებელია. უფლის, სამშობლოსა და ადამიანისადმი უანგარო მსახურებით მან სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის უდიდეს მოღვაწეთა შორის.

გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას, წმინდა სინოდს, მღვდელმთავრებს, მრევლს და თითოეულ თანამოქალაქს. ჩვენი და ყველა მომავალი თაობის ვალაია, ღირსეულად გავეფრთხილოდეთ ჩვენი სულიერი მამის უდიდეს მემკვიდრეობას.

შალვა ავაუაშვილი:

ის იყო ნუგეხი და მეოხი განსაცდელში მყოფი ერისთვის

საქართველომ დაკარგა სულიერი მამა, ჩვენი უწმინდესი პატრიარქი, რომელმაც თავისი ცხოვრების ყოველი წუთი და ნაბი მიძღვნა ქრისტიანობის მსახურებას, სამშობლოს და საზნაურსა და მამობრივ ზრუნვას.

უწმინდესი პატრიარქი ილია II ნახევარი საუკუნის განმავლობაში წინამძღოლობდა 2000-წლოვან ქართულ ეკლესიას. მან ათეისტური უკუნიდან და მიმქრალი ნაკვერჩხლიდან ააგიზგო ქართველ ერში ჭეშმარიტი სარწმუნოება და თავისი შრომით და ლოცვით ააღორძინა ჩვენი ეკლესია.

უიმედობისა თუ სასონარკვეთის მიძიმე წუთებში სწორედ ის ტვირთობდა ჯერის სიმძიმეს. ის იყო ნუგეხი და მეოხი განსაცდელში მყოფი ერისთვის. ის იყო ზვერად მეტი ჩვენთვის, ვიდრე ეკლესიის წინამძღოლი.

ჩვენი პატრიარქი შეუერთდა ზეციური საქართველოს ჩინებულთა დასს, ჩვენს გმირ წინაპრებს, ხოლო მისი ღვაწლი და მისი სიტყვა კვლავაც იცოცხლებს ჩვენს ერში. ჩვენ ვართ მისი თაობა, მისგან მონათლული, ნაკურთხი და დალოცვილი. მნამს, რომ მისი ზეციური ლოცვით და კურთხევით კვლავ დალოცვილი ვიქნებით ერი თუ მერი, მისგან შეყვარებული სამშობლო, ყოველი ქართველი და ჩვენი დედაეკლესია, რომლის ალორძინებისთვისაც იღვანა მთელი თავისი ცხოვრება.

კახა კალაძე:

მისი ღვაწლი ქვეყნისა და ერის სხოვრებაში ფასდაუდებელია!

– დღეს მთელი საქართველო გლოვობს სულიერი მამის გარდაცვალებას – ადამიანის, რომლის ღვაწლი ქვეყნისა და ერის ცხოვრებაში ფასდაუდებელია. მისი მოღვაწეობა იყო სიყვარულის, თავმდაბლობის, მოთმინების და მსახურების საოცარი მაგალითი. ილია მეორე იყო და რჩება ერის ერთიანობის სიმბოლოდ, მისი გარდაცვალება საქართველოს და მის სულიერ შვილებს კი ძალიან დიდხანს გაგვივება მოუშუშებელ ტრიალობად.

„უნმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ შეძლო ბოლო შევიკური ტალღის შემდეგ შევიწროებული ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ნაბიჯ-ნაბიჯ აღდგენა და გაძლიერება, ერში სულიერების ამალღება. მისი მმართველობის პირობებში საქართველოს საპატრიარქო იყო არამხოლოდ სულიერების, არამედ ეროვნული ცნობიერების ფორმირებისა და ქართული კულტურის განვითარების მნიშვნელოვანი ცენტრი!“

რუსეთის პატრიარქი კირილ:

გულწრფელ სამძიმარს გამოვთქვამ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ განცდილი დიდი დანაკლისის გამო

ღრმა მწუხარებით მივიღე ცნობა ჩემი ძვირფასი ძმისა და თანამსახურის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის გარდაცვალების შესახებ.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით, გულწრფელ სამძიმარს გამოვთქვამ დიდი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ განცდილი დიდი დანაკლისის გამო, – აღნიშნულია რუსეთის პატრიარქ კირილეს განცხადებაში.

„ყოველშემთხვევაში უფალმა ძველი ივერიის ეკლესიას აჩუქა პატრიარქი, რომელმაც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მის კეთილდღეობაზე დაუდლადად ზრუნვას მიუძღვნა. მისი უნმინდესობისა და უნეტარესობის, ილიას პატრიარქობის თითქმის 50 წელი ქართული ეკლესიისა და მთელი მართლმადიდებლობის ცხოვრებაში ემოქად იქცა. თავისი გულმოდგინე მსახურებითა და განსჯის განსაკუთრებული ნიჭით, მან განსაკუთრებული ავტორიტეტი და ღრმა პატივისცემა მოიპოვა არა მხოლოდ ეკლესიაში, არამედ ქართულ საზოგადოებაში. როგორც მრავალი მაგვიც ნათლია, ის ასევე გახდა მთელი ღვთისმოსავე ქართველი ხალხის ნამდვილი სულიერი მამა, რომელიც მასში ღვთის სიბრძნეს ხედავდა.“

რუმინეთის პატრიარქი:

ილია მეორე იყო სარწმუნოების მტკიცე აღმსარებელი, რომელიც სიმბრძნით უძღვემოდა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას როგორც განსაცდელის, ასევე განახლების პერიოდში. რუმინეთის მართლმადიდებლური ეკლესიის, სასულიერო პირებისა და მორწმუნეების სახელით, ვუსამძიმრებ უნმინდესს და სრულიად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. მარადიული იყოს მისი ხსოვნა!

ილკამ ალიაძე:

უნმინდესი ილია II კავკასიაში მტკიცე მეგობრობის დაამაჰკვიდრებელი იყო!

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილკამ ალიაძემ საქართველოს პრეზიდენტ-მინისტრს ირაკლი კობახიძეს სრულიად



საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის გარდაცვალების გამო სამძიმრის წერილი გაუგზავნა.

„პატივცემულ ბატონო პრემიერ-მინისტრო, ღრმა მწუხარებით შევიტყვევებ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ჩვენი დროის გამორჩენილი რელიგიური მოღვაწის, უნმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის გარდაცვალების ამბავი.“

უნმინდესმა ილია II-მ მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა საკუთარ ხალხსა და კაცობრიობის კეთილდღეობად მიმართულ კეთილშობილურ მიზნებს მიუძღვნა. კავკასიაში მშვიდობის, სტაბილურობის, ადამიანებს შორის სოლიდარობის, რელიგიათაშორის ურთიერთგაგებისა და დიალოგის დამკვიდრების საქმეში განუვლი ძალისხმევით, ილია II-მ, ეროვნული და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, მილიონობით ადამიანის გულში დაიმკვიდრა ადგილი და მოიპოვა ღრმა პატივისცემა და სიმშაობა.

უნმინდეს ილია II-ს უდიდესი დამსახურება მიუძღვის აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ტრადიციული მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში. ვიზიარებ ამ მძიმე დანაკლისით გამოწვეულ მწუხარებას და პირადად ჩემი და აზერბაიჯანელი ხალხის სახელით ღრმა სამძიმარს გიცხადებთ თქვენ, სრულიად საქართველოს მოსახლეობასა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.“

ნიკოლ ფაშინიანი:

ილია მეორე პატრიოტიზმისა და ხალხთა შორის მეგობრობის სიმბოლო იყო

სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა ქართველ კოლეგას, ირაკლი კობახიძეს მიუხამძიმრა.

„ტყვილით შევიტყვევებ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის გარდაცვალების შესახებ. ილია მეორის თითქმის ნახევრასაუკუნოვანი მმართველობა იყო მრწამსის მაღალი ღირებულებების, პატრიოტიზმისა და ხალხთა შორის მეგობრობის სიმბოლო.“

მისი დაუფინყარი წვლილი სულიერი ცხოვრების განვითარების, საზოგადოების კონსოლიდაციისა და სახელმწიფოებრიობის გაძლიერების საქმეში მუდამ დარჩება ყველას მესხიერებაში. სომეხი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გამოვთქვამ მწუხარებას და თანავგვრძობს საქართველოს მთავრობას, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და ძმურ ქართველ ხალხს, ვუსურვებ რა ძალას და სიმტკიცეს ამ რთულ მომენტში.“

დიდი ბრიტანეთის ელჩი:

მისმა ღვაწლმა განუზომელი გავლენა იქონია დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე

საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩი ბარნეტი უორდი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს და ქართველ ხალხს უსამძიმრებს.

„მისი უნმინდესობა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე საქართველოს სულიერი წინამძღვარი იყო ნახევარი საუკუნის განმავლობაში. მისმა შეუდარებელმა ღვაწლმა განუზომელი გავლენა იქონია ქართველი ხალხის ცხოვრებაზე და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე.“

2011 წელს მის უდიდებულესობასთან, დედოფალ ელიზაბეტთან მისი შეხვედრა განსაკუთრებული მოვლენა იყო ქვეყნებს შორის ურთიერთობებში. დღეს ღრმა მწუხარებას ვუცხადებთ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და ქართველ ხალხს მისი უნმინდესისა და უნეტარესის გარდაცვალების გამო. უფალმა დაუშვიდროს სამუდამო სასუფეველი.“

საქართველოში გაეროს:

მუღვივი კოორდინატორი:

მისი სიტყვები ნუგავს სძინდა მორწმუნეებს!

საქართველოში გაეროს მუღვივი კოორდინატორი დი-ლინ ტლუბიუკი და გაეროს ბუნდი საქართველოში ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის გარდაცვალების გამო.

„სიღრმისეული სიმბრძნითა და თანაგრძნობით გამოჩენილი სულიერი ლიდერი, მისი უნმინდესობა თაობებს ხელმძღვანელობდა თავმდაბლობით, რწმენითა და მშვიდობის, ერთიანობისა და ღირსებისადმი ურყევი ერთგულებით. მისი სიტყვები და ქმედებები ნუგავსა და შთაგონებას სძინდა მორწმუნეებს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ვუსამძიმრებთ საქართველოს მოსახლეობას, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და ყველას მთელ მსოფლიოში, ვინც ამ დიდ დანაკარგს გლოვობს“, – ნათქვამია განცხადებაში.

იაპონიის საელჩო:

ქართველი ხალხის სოლიდარობის ნიშნად დავუშვებთ სახელმწიფო დროვას

საქართველოში იაპონიის საელჩო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს.

„მისი უნმინდესობის, პატრიარქ ილია II-ის გარდაცვალების გამო იაპონიის საელჩო საქართველოში ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და, ქართველი ხალხის სოლიდარობის ნიშნად, დაუშვებს სახელმწიფო დროვას.“

სამძიმარი არაბთა:

გაერთიანებული საამიროებიდან

არაბთა გაერთიანებული საამიროების ლიდერებმა საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის გარდაცვალების გამო მიუხამძიმრეს.

„არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტმა, მისმა უდიდებულესობამ, შეიხ მოჰამედ ბინ ზაიდ ალ ნაჰიანიმ სამძიმრის წერილი გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ ყაველაშვილს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის გარდაცვალების გამო.“

მისმა უდიდებულესობამ, ვიცე-პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა და ღუბაის მმართველმა, შეიხ მოჰამედ ბინ რაჰიდ ალ მაკტუმმა და ვიცე-პრეზიდენტმა, ვიცე-პრემიერმა და საპრეზიდენტო სასამართლოს თავმჯდომარემ, მისმა უდიდებულესობამ, შეიხ მანსურ ბინ ზაიდ ალ ნაჰიანიმ მსგავსი წერილები გაუგზავნეს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი კობახიძეს.“

ქართველი ხალხის მწყემსი და გზამკვლევი

საქართველოს განათლების მინისტრმა აკადემია უდიდესი მწიგნობრით უწოდებდა ღმერთს, თავდასხმით და მხსნით. მისი გონიერება, მისი ზრუნვა ჩვენი ქვეყნის გაძლიერებისთვის, ჩვენი ერის გამრავლებისთვის, მთელ საქართველოს სწავლებლად. განსაკუთრებული კი ამ ყოველივეში იყო ქართული განათლება – ახალგაზრდობის ღირსეულ მამულიშვილებად აღზრდა. ყოველი მისი სიტყვა, საქმე თუ ეპისტოლე დაგვიტოვა, როგორც უკვდავი საგანძური, თუმც თან წაიღო დიდი ტკივილიც...



მისი უწმინდესობა განსაკუთრებული იყო განათლების დარგისადმი დამოკიდებულებით. ასეთივე, განსაკუთრებული იყო მისი მხარე განათლების დარგის წარმომადგენელთა და მცენებრთა სიყვარული და პატივისცემა. დაუვინყარია მისი მოკრძალებული კმა-

ყოფილება, როდესაც განათლების აკადემიამ ერთხმად აღიარა იგი თანამედროვე უდაბლო კლასიკოსად, როდესაც მისმა ამაგმა ათასობით ნათლული თუ ღირსეული ქართული ოჯახი შეგვმატა, როდესაც განათლების დარგი ერთხმად აღიარებდა ღმერთის კენ მამავალ გზას – სიყვარულს.

პატრიარქი გარდაიცვალა... არამცთუ სათქმელად, წარმოსადგენად უმძიმესია თითოეული ჩვენგანისთვის. იმედს გვაძლევს მხოლოდ მის მიერ დატოვებული ჩვენი უდიდესი მოვალეობა – თვალისჩინივით გავეფრთხილოდეთ ქართული განათლების წარსულს, აწმყოსა, მომავალს! გავეფრთხილოდეთ იმ საგანძურს, რაც მან დაგვიტოვა, თვალისჩინივით დავეიცვათ მისი უძვირფასესი მემკვიდრეობა, ორიენტირად მივიღოთ მისი გამორჩეული ცხოვრების წესი და გვეყოს ძალა, რომ ვიყოთ მისი მთამომავლობა არა დაბლმეული, არამედ ღირსეული მემკვიდრენი.

გვიყვარდეს საქართველო, გვიყვარდეს ერთმანეთი, გვიყვარდეს ჩვენი მომავალი თაობა ისე, როგორც ამას ჩვენი უკვდავი პატრიარქი აკეთებდა და გვახსნავლიდა.

უწმინდესობა და უნეტარესის სათაყვანო საქართველოვ, მიიღე ჩვენი გულწრფელი სამძიმარი.

საქართველოს განათლების მინისტრმა აკადემია 17 მარტი, 2026

წმინდა სინოდის მიმართვიდან!

ქრისტიანობის სიყვარულის აღორძინებით ჩვენ შევძლებთ ქვეყანაში მშვიდობიანი თანაარსებობის დამკვიდრებას და საზოგადოების გაერთიანებას. გავაგრძელოთ სწავლა ჩვენი წინაპრების მიერ გაკვალულ გზაზე, რომელთა დაბრუნებაშიც შეუფასებელია ისტორიული როლი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა!

სიყვარულის, მიტევების, იმედის პატრიარქი

აშშ-ის საელჩო:

მისი ცხოვრება და უდიდესი ღვაწლი არასდროს მიეცემა დავიწყებას

საქართველოში აშშ-ის საელჩო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის გარდაცვალების გამო.

„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის გარდაცვალების გამო. მისი ცხოვრება და უდიდესი ღვაწლი არასდროს მიეწყება დაავიწყებას. დაე, მშვიდად განისვენოს მისმა სულმა“, – აღნიშნულია აშშ-ის საელჩოს განცხადებაში.

თურქეთის საელჩო:

ილია მეორის გარდაცვალება უდიდესი დანაკარგია!

საქართველოში თურქეთის საელჩო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის, ილია მეორის გარდაცვალების გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს.

„უწმინდესის გარდაცვალება უდიდესი დანაკარგია, ვინაიდან იგი მრავალი წლის განმავლობაში იყო ქართველი ხალხის სულიერი მამა, მშვიდობის, ერთიანობისა და ზნეობრივი ღირებულებების საყრდენი. გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებთ ქართველ ხალხს, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და ყველას, ვინც გლოვობს მის გარდაცვალებას. ამ მწუხარების უამს გამოვხატავთ ჩვენს გულწრფელ თანაგრძნობას და სოლიდარობას!“

საქართველოს მუსლიმთა სამმართველო:

ვუსამძიმრებთ საქართველოს!

ვუსამძიმრებთ საქართველოს მართლმადიდებელ მკვლევარსა და მართლმადიდებელ მრავალს ამ მიმდინავე დანაკარგის, – ამის შესახებ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს სამძიმრის ტექსტშია ნათქვამი.



„გამოვთქვამთ მწუხარებას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორის გარდაცვალების გამო.“

მისი მრავალწლიანი მსახურება – რელიგიათმორისი პატივისცემის, მშვიდობისა და საზოგადოებრივი ერთობის განმტკიცების საქმეში – განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო. ვუსამძიმრებთ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და მართლმადიდებელ მრევლს ამ მიმდინავე დანაკარგის.“

ევროკავშირის წარმომადგენლობა:

მისმა უწმინდესობამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ეროვნული იდენტობისა და სარწმუნოების შენარჩუნებაში

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის გარდაცვალების გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს.

„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ საქართველოს სულიერი მამის, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის გარდაცვალების გამო. ვუსამძიმრებთ მართლმადიდებელ ეკლესიას, სამღვდლოებსა და საქართველოს მოსახლეობას. მისმა უწმინდესობამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ეროვნული იდენტობისა და სარწმუნოების შენარჩუნებაში და მორწმუნეთათვის ერთიანობის სიმბოლოდ დარჩა.“

უბერ ფიშარი:

როგორც სულიერი მამა, იგი არს მიუძღოდა სიხარულსა და მწუხარებაში

საქართველოში გერმანიის ელჩი პეტერ ფიშერი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის გარდაცვალების გამო ქართველ ხალხს სამძიმარს უცხადებს.

„სამძიმარს ვუცხადებ ქართველ ხალხს მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის გარდაცვალების გამო. როგორც სულიერი მამა, იგი არს მიუძღოდა სიხარულსა და მწუხარებაში. ვიცი, რომ გერმანიას კარგად იცნობდა. მშვიდობით განისვენოს მისმა უწმინდესობამ!“

ისრაელის საელჩო:


მისი მეორის გარდაცვალება უდიდესი დანაკარგია მთელი მართლმადიდებლური სამყაროსთვის

საქართველოში ისრაელის საელჩო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის გარდაცვალების გამო სამძიმარს გამოთქვამს.

ისრაელის საელჩოს განცხადებით, ილია მეორის გარდაცვალება უდიდესი დანაკარგია საქართველოსთვის და მთელი მართლმადიდებლური სამყაროსთვის.

„ის იყო სულიერი წინამძღოლი, რომლის სახელი განუყოფლად უკავშირდება ეროვნულ გამოვლიანებას, ქვეყნის სულიერი ცხოვრების აღორძინებას და საზოგადოების გაერთიანებას. ისრაელის მთავრობისა და ხალხის სახელით, ელჩი ვაღიდა ამუ შაია და საქართველოში ისრაელის საელჩო გულწრფელ სამძიმარს უცხადებს საქართველოს მოსახლეობას და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.“

საქართველოს ხალისუფლებას, მთელ ქართველ ხალხს მსოფლიოს 50-ზე მეტმა ქვეყანამ მიუსამძიმრა ილია II-ის გარდაცვალება.



რომ იაპონელებმა, გერმანელების ერთგულმა მოკავშირეებმა, თქვენი გეგმები პირლ-ჰარბორში ფსკერისკენ გაუშვეს. ისიც ვიცო, რომ თქვენ ახლა კოლოსალურ ძალისხმევას ახმარებდით...

შარლ დე გოლი:

მუშაობაში - ამერიკასთან, საბჭოთა კავშირთან და დიდ ბრიტანეთთან ერთად, თანასწორი პირობებით. კომისიის შესაქმნელად მოსამზადებელი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს.

საუბრის დასასრულს ორივე დიპლომატს ვუთხარი: „თქვენ ჩემთან აშშ-ის პრეზიდენტის სახელით მხივდებით, რომ ჩვენი ურთიერთობის არსი პირველი პირისაგან გავევით. ვფიქრობ, ჩვენ ამას მივალნივით. ფრანგებს ჩამოუყალიბდათ შთაბეჭდილება, რომ თქვენ აღარ განიხილავთ საფრანგეთის დიდე-



ჰარი ჰოპკინსი (1890-1946) - ამერიკელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც 1945 წელს დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი და დაიწყო მუშაობა სახელმწიფო დეპარტამენტში...

სტალინი პარტო წარსულს არ აკუთვნის, ის მოგავლის ისტორიის შექმნელი არის!

მე პრეზიდენტ რუზველტის სპეციალურ დესპანს განვუცხადე: „რადგანაც თქვენ დააბრუნეთ ის მიზანმიმართული გეგმა, რომელიც გარდაცემულს დააბრუნებდა, მაშინ მეც ვაფხვამ საფრანგეთის აღრს, თუ რა მიზანმიმართული გეგმაა ჩვენი ურთიერთობის გართულება.“

დავანებოთ თავი ეპიზოდური და ნაკლებნიშნული შებენი-შემოხლის ფაქტებს, რომლებიც იმ არანორმალურ პირობებში უკავშირდება, რომლის დროსაც ჩვენი კავშირები ვითარდებოდა. ჩვენთვის მთავარი შემდეგია: იმ სასიკვდილო საფრანგეთის დროს, რომელშიც ჩვენ, ფრანგები, ვიმყოფებით საუკუნის დასაწყისიდან, ჩამოგვიყალიბდა შთაბეჭდილება, რომ აშშ თავის ბედს საფრანგეთის ბედთან დაკავშირებულად არ თვლის. ამერიკელები არ ფიქრობენ იმაზე, რომ საფრანგეთი დიდებული და ძლიერი ქვეყანა იყოს. თქვენ არაფერს არ აკეთებთ იმისათვის, რომ საფრანგეთს დაეხმაროთ, რომ საფრანგეთი გაძლიერდეს. იქნებ ჩვენ მართლაც არ ვართ თქვენი დახმარების ღირსნი? მაგრამ მჭერა, ჩვენ ისევ წელში გავიმართებით და ფეხზე წამოვდებით, მთელი სიმაღლით... და აი, მაშინ მიხვდებით, რომ თქვენ სცდებით. ნებისმიერ შემთხვევაში, თქვენი ასეთი დამოკიდებულება ჩვენ ვგაიძულებს, თქვენგან დისტანცირებულნი ვიყოთ.“



„დიდი სამეული“ - იალტის კონფერენცია, 1945 წელი 4-11 თებერვალი

ჰარი ჰოპკინსს გავახსენე, რომ 1940 წლის უბედურება საბოლოო ჯამში იმ მძიმე გამოცდის შედეგი იყო, რომელიც საფრანგეთს თავს დაატყდა. ისიც ვუთხარი, რომ პირველ მსოფლიო ომში აშშ მხოლოდ მაშინ ჩაება, როცა ჩვენ სამი წელი სისხლს ვღვრიდით და ვებრძოდით გერმანულ აგრესორებს. პირდაპირ ვუთხარი: ამერიკა ომში მხოლოდ იმიტომ ჩაება, რომ თქვენი ვაჭრობა გერმანული წყალქვეშა ნავებით ზარალდებოდა-მეთქი. ამერიკელ დესპანს ისიც გავახსენე, რომ აშშ-მა თავდაპირველად გერმანელებს სპარტაკული ზავი შესთავაზა - ისე-

თი, რომლის მიხედვით ჩვენ ვერასოდეს დავიბრუნებდით ელზასს და ლოტარინგიას. როცა კაიზერის რეიხი დამარცხდა, ამერიკელებმა უარი უთხრეს ფრანგებს უსაფრთხოების გარანტიებზე და პარიზზე წაიხრეს. რათა უკან დაეხია დაკავებული ტერიტორიებიდან და უარი ეთქვა კუთვნილ რეპარაციებზე... და მოლოდინს შეემდგა აშშ გერმანიის ძლიერების აღდგენის მიზნით ეხმარებოდა. „ამის შედეგად მივიღეთ ადოლფ ჰიტლერი“, - ვთქვი მე.

მე ამერიკელ დიპლომატებს გავახსენე მათი ჩაურევლობის პოზიცია, როცა მესამე რეიხმა ვერაპის დაპყრობის მცდელობა დაიწყო; იმ ნეიტრალიტეტზე, რომლითაც ამერიკამ საზღვარს გასწვრივ და საფრანგეთის თხოვნას დახმარების თაობაზე უარით უპასუხა... გავახსენე ფრანკლინ რუზველტის უარი იმ თხოვნაზე, რომ ვაშინგტონს, უბრალოდ, სოლიდარობა გამოეცხადებინა და საბრძოლო სული შეენარჩუნებინა... დიახ, საფრანგეთი 1940 წელს დამარცხდა, მაგრამ რატომ დაიწყო ამერიკამ იმ ფრანგი კოლაბორაციონისტების ლიდერებისადმი - ვიშის რეჟიმისადმი დახმარება, რომლებმაც ხელი მოაწერეს სამარცხვინო კაპიტულაციას? „ჩემთვის გასაგებია, რომ თქვენ ომში იძულებით ჩაებათ - იმიტომ,


დაც, რომ აშშ პარიზს „მორეხარისობავ“ მოკავშირედ თვლის. ამის დამადასტურებელი ის ფაქტი, რომ ამერიკა საფრანგეთის არმიას იარაღს შეზღუდული რაოდენობით აწვდის. კიდევ ერთი დადასტურება ისიც, რაც თქვენ ახლა თქვით - ამერიკა არ ენდობა საფრანგებს.“

„თქვენ წარსულის პრობლემები მკვეთრად, მაგრამ ზუსტად განმარტეთ“, - მითხრა საპასუხოდ ჰარი ჰოპკინსმა, - „ახლა კი ამერიკა და საფრანგეთი მომავლის წინაშე დგანან. კიდევ ერთხელ ვისაუბროთ იმაზე, თუ რა უნდა გავაკეთოთ, რომ ორივე ქვეყანამ ერთად და სრული ნდობის საფუძველზე იმოქმედონ...“

„თუ ასეთია აშშ-ის განზრახვები, - ვთქვი, - მაშინ მე ვერ გამიგია, როგორ წყვეტს თეთრი სახლი ვერაპის ბედს საფრანგეთის გარეშე? არ მესმის, რატომ ცდილობს აშშ, არ დაუშვას საფრანგეთი „დიდი სამეულის“ მოლაპარაკებაში. ვიცო, დადგება დრო, „სამეული“ პარიზს მოუბრუნდება, რომ მისი თანხმობა მთელი მსოფლიოს მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად.“

მას, როგორც აუცილებელ ფაქტორად, აღარც თქვენთვის და აღარც მსოფლიოსათვის. აქედან გამომდინარე სწორედ ის სიცივე, რომელსაც ამ კამინეტშიც კი გრძნობთ. თუ თქვენ გსურთ, რომ აშშ-სა და საფრანგეთის ურთიერთობა სხვა საფუძველზე იქნას აგებული, ეს თქვენზე დამოკიდებულია, თუ რას გავაკეთებთ ამისათვის. ველოდები თქვენს არჩევანს. გადავცით მატონ რუზველტს ჩემი მეგობრული სალაპარაკო იმ კონფერენციის წინ, რომელშიც მან მონაწილეობა უნდა მიიღოს და ამ მიზნით ვერაპაში მოემგზავრება.“

იმ დროს, როცა „დიდი სამეული“ იალტაში წასასვლელად ემზადებოდა, მე აუცილებლად ჩავთვალე, რომ მათთვის საფრანგეთის არსებობა შემეხსენებინა იმ შემთხვევისათვის, თუ მათ დავავიწყდით: 5 თებერვალს, რადიოთი გამოსვლისას, მე ასეთი გამაფრთხილებელი სიტყვები ვთქვი: „რაც შეეხება მომავალი მშვიდობის პირობების განსაზღვრას, ჩვენ მივანიშნებთ ჩვენს მოკავშირეებს, რომ საფრანგეთი აბსოლუტურად არ აიღებს არავითარ პასუხისმგებლობას იმ საიტებზე, რომელთა განხილვაც მას უშუალოდ მონაწილეობა არ მიუღია. ასევე არ მიუღია მას გადაწყვეტილება იმავე სრული სტატუსით, როგორც სტა-



ჯოზეფ კამპი (1886-1974) ამერიკელი დიპლომატი. აშშ-ის ელჩი საფრანგეთში 1944-1949 წლებში

გაბრძანება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №26-32

ტუსიც მოკავშირეებს აქვთ. მე ვადასტურებ, რომ საფრანგეთის შეიარაღებული ძალები იდგებიან რეინის [მარცხენა ნაპირის] გასწვრივ მის მთელ სიგრძეზე. ვადასტურებ ამ ტერიტორიების გამოყოფას, რურის აუზის ჩათვლით, გერმანიის მომავალი სახელმწიფოსაგან. ვადასტურებ, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ პოლონელი, ჩეხოსლოვაკელი, ავსტრიელი და ბალკანეთის ხალხების დამოუკიდებლობას, რაც საფრანგეთისთვის უმნიშვნელოვანეს პირობად ითვლება. მიგვაჩნია, რომ შევძლებთ მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას - იმიტომ, რომ ძლიერები ვართ: ჩვენი ქვეყნის 100 მილიონი ადამიანი ფრანგული დროშის ქვეშ არის გაერთიანებული.“


12 თებერვალს „დიდი სამეული“ მუშაობა დაამთავრა და გამთავრებულ კომუნეზე, რომელიც აისახა მომავალი მშვიდობის ის პრინციპები მსოფლიოსათვის, რომლის შესახებაც მათ მოილაპარაკეს. მასწავინათ იყო, რომ ომი მესამე რეიხის სრული და უსიტყვო კაპიტულაციით უნდა დასრულდეს, რომ სამი დიდი სახელმწიფო გერმანიის ოკუპირებას მოახდენს და თითოეული მათგანი განსაზღვრულ ზონას დაიკავებს და რომ გერმანიის მართვა და გაკონტროლება განხორციელდება სამხედრო კომისიის მიერ, რომლის წევრები მოკავშირე ქვეყნების არმიების მთავარსარდლები იქნებიან. კომისიის შტაბ-ბინა მერლინი იქნება.

ამასთანავე, კომუნეში აღნიშნული იყო, რომ საფრანგეთს აქვს უფლება საბჭოთა კავშირთან, დიდ ბრიტანეთთან და აშშ-სთან ერთად, დაიკავოს გერმანიის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი და თავის საოკუპაციო ზონად გამოაცხადოს, ასევე გახდეს სამხედრო კომისიის მეთხვე წევრი. (...) დოკუმენტში ასევე ნათქვამი იყო, რომ დამოუკიდებელი იქნება გერმანიის შეიარაღებული ძალები, გაუქმდება გერმანიის არმიის გენშტაბი, დაისჯებიან სამხედრო დამნაშავეები და გერმანია გადაიხდის სამხედრო რეპარაციებს.

მოამზავა სიმონ კილაძემ. (გაბრძანება იქნება)



უცხოელები ქართველთა სილაგაჟის უმსახებ



მხიარული და მოქვიტიანი და — ქრისტიანი

„მე, ვაჟაფხაძე საქართველოს და გული
სწავლავთ მისგან, უნდა დავაძინოთ სა-
მართლო რთი იყო, იგი კვანძის ქარსად გა-
დაქვეყნა.“

იმ ადამიანებზე ვტყვი, რომლებიც ჩემი
ქრისტიანული დროშისათვის შეუპოვარნი და ძა-
ლიან მამაცი მებრძოლნი (ნიმამძღოლნი) იყ-
ვნენ და ახლა ეშვას მონებენ.

საქართველოს იმ მიწას ვტყვი რომელიც
მისი ბატონების მკვეთარი, აღთქმული წმინდა
ქვეყანა და ქრისტიანული მიმზამველი იყო; ახლა
კი ტაძრის საძოვარზე ნარ-ეკალი ვაზრდი-
ლა. იმ ქვეყანას ვტყვი, რომლის მცხოვრებ-
ლებმაც ქვეყნიერება განაათლეს, ახლა კი
სიბევისა და მწველეთის დასაბამი გამხდარა.

იმ ქვეყანას ვტყვი, რომელმაც ანტიკური
ბერძნული სიმბრძნე წარმოშვა, ახლა კი უფი-
ცოპის წყარო გამხდარა, სადაც თავიანთ შე-
მცნების სიმბრძნის გამო, ბევრი სილაგაჟე-
ში ჩავარდნილა და სადაც ყველა ღმერთი
მიტოვებულია.“

ცნობილმა ავსტრიელმა პაატა ნაცვლიშ-
ვილიშმა დაადგინა, რომ ზემოთ საქართველო-
ზე მოყვანილი ლოცვის ტექსტის ავტორია
თვით დე კასტელი, რომელმაც გარკვეული
მოსაზრებების გამო მონახა „ცოცხალი ფსევ-
დონიმი“ ქრისტიანე. როგორც პაატა ნაცვლიშ-
ვილი აღნიშნავს, „დანამდვილებით შეიძლება
ითქვას, რომ გამოგონილი ქართველი მო-
ნაზონი იტალიელი მერის ვაორების დასტუ-
რია, სახელში და სახეში გაცხადებული. ამ
სახესა და სახელს კასტელი მაშინ ირგებს,
როცა თავისი ნამდვილი სახითა და სახელით
მოქმედება არ შეუძლია.“

ქართველი ხალხის გარეგანი სი-
ლაგაჟის შესახებ წერს მ-18 საუკუნის
გერმანელი მოგზაური იაკობ რაინვალდი,
რომელიც ვენაში 11-ის კარზე იმყოფე-
ბოდა 1778-1781 წლებში. მან ქართული
ენაც იცოდა. 1782 წელს იგი საგანგებო
დაკავლებით ისევ ჩამოვიდა საქართვე-
ლოში ვენაში და სოლომონის პარ-
ტი. რამა იმინი რუსეთის მხარეზე გადა-
ვირდებოდა. მან დიდი როლი ითამაშა რუ-
სეთის გვარგულოვანებში ვენაში 11-ის
შესვლაში. უნდა აღვნიშნოთ იმის შესა-
ხებაც, რომ რაინვალდი იმართის ყოველ-
თვის უწოდებს იმართს.

რაინვალდი ქართველი ხალ-
ხიდან გარეგნულად ახასია-
თებს ძირითადად მხოლოდ
იმერლებს. „ნამდვილი იმერე-
ლი, რომლის სისხლიც სხვა
ეროვნებებთან შერევით არ
არის წამხდარი, მკვეთრად გან-
სხვავდება ირგვლივ მცხოვრე-
ბი ხალხებისაგან. ჩემი დაკვი-
რებით ის ეკუთვნის ამის უძვე-
ლეს ხალხებს, რადგან მათი
ჩვევები, ასევე ჩაცმა, კვლავ მი-
უთითებენ მათ დიდ სიძველე-
ზე.“

გაბრიელა, დასაწყისი
იხილეთ „სრ“ №31-32

ქართველი ქალები უფლებრივად, მორალუ- რად, ფიზიკური სილაგაჟით ეპროვალ ქალებს ბევრად აღემატებიან.

ღონ კრისტოფრო დე კასტელი, მისიონერი

მე... ის არის საშური აღნაგობისა, ლამაზი,
სწორი, პროპორციული, ვაჟაყურად ლამაზი
თავი აქვს მხოლოდ ჭეშმარიტ იმერელს, რო-
მელიც მიუხედავად იმისა ღარიბია თუ არა,
ერთნაირად ამრავლებს თავის საკუთარ შთა-
მოზავლობას და გვარს შეურევლად ინახავს.“

„ლამაზი მამაკაცის ნიშნებს მრავლის მეტყ-
ველი სახის ნაკვეთებით გურიაშიც ნახავთ.“

„მე უნდა შევნიშნო აგრეთვე, რომ ამ პრო-
ვინციის (საათაბაგო — ავტ.) კაცები თავისი
არაჩვეულებრივად ლამაზი და დიდი წვერით
ძალზე განთქმულნი არიან.“

„იმერელს თმა მოკლედ აქვს შეჭრილი
კისერზე. მღვდლები და ბერები გრძოლად უშ-
ვებენ და გრძელი წვერით განსხვავდებიან და-
ნარჩენი მოსახლეობისაგან, რომელიც კმა-
ყოფილდება მხოლოდ უღვაშებით.“

მართებული ენია, რომ მას სპეციალური გა-
მოკვლევა უნდა მიეძღვნას.“

„რა აზრისა ხართ ქართველებზე? —
გვითხე ბატონ ფინოს, ჩვენს კონსულს თბი-
ლისში, რომელიც სამი წელია, აქ ცხოვრობს.“

— არავითარი ნაკლი მათ არ გააჩნიათ,
მხოლოდ ღირსებებით არიან დაჯილდოე-
ბულნი, — მიპასუხა მან.“

„კოლხეთის ქალები მშვენიერი გარეგნო-
ბისა არიან. ჩვენ გვიწოდებდა გვეთქვა, ისი-
ნი ქართველ ქალებზე უფრო ლამაზები არი-
ანო, მაგრამ დროზე გავახსენდა, რომ უნინ
იმერეთი, გურია და სამეგრელო საქართვე-
ლოს მხარეები იყვნენ.“

„როგორც ვთქვით, მეგრელი ქალები ულა-
მაზები არსებობენ არიან დედამისის ზურგზე.“
„ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს სხვა წარ-
ჩინებული მანდი-
ლოსანი, რომელსაც
ესოდენ მედიდური
გარეგნობა ჰქონდეს.
თუ თქვენ თავად ორ-
ბელიანის მეუღლეს
ქუჩაში პირისპირ შეხ-
ვდით, რომ არ იც-
ნობდეთ კიდევ, უსა-
თუოდ მონინებით
თავს დაუკრავთ, ისე-
თი პატივისცემით იმ-
სჯვალემა მნახველი
მისაღმ.“



„ჰაერი ქიბიყში სუფთაა. მოსახლეობა ღვი-
ნის სმისა და მოჭარბებული მადის გამო ჯან-
მრთელი და ლამაზად ლოყებულაუდაა.“

ქართველი ხალხის გარეგანი სი-
ლაგაჟის, საერთოდ ქართველი ხალხის
შესახებ ცნობაში დაგვიტოვა გამოგონ-
ილმა ფრანგმა მწერალმა ალექსანდრე
დიუბაი (1802-1870), რომელიც 1858
წელს ჩამოვიდა საქართველოში სამოგ-
ზაუროდ, რომელსაც ცნობისმოყვარე მოგ-
ზაურმა დაგვიტოვა შთაგაქდილავათა
ნიშნად „კაჰკასია“, სადაც დიდი სიყვარუ-
ლით და სიმატითი საუბრობს საქარ-
თველოს და ქართველ ხალხზე, ქარ-
თველოვის სილაგაჟზე.

ალექსანდრე დიუბაი. კავკასია. მოგზაურის
შთაგაქდილავება.

„ქართველები იმდენად საუცხოო, კეთილ-
შობილი, პატიოსანი მამაცი, გულუხვი და შემ-

ეშხიანი, მშვენიერი შესახედაობის, მხნე, სი-
ცოცხლით საცხე, მხიარული კაცი, როგორიც
ეს ქართველი თავადი იყო.“

„მე და ჩემმა ღმერთმა ქართველი თავა-
დები სულ არიან შექმნილი საქმონებად.“

„უნდა გამოვთქვადე, როცა თბილისში მოვ-
დილი, მეგონა ვნახავდი ნახევრად ველურ
ქალაქს, რაღაც ბაქსისა და ნუხის მსგავსს, მაგ-
რამ უფრო დიდს. თურმე ვცდებოდი. ქარ-
თველ მანდილოსნებს შეუძლიათ იტალიური
თეატრისა და განდის ბულვარის მოღას მის-
დიონ, მხოლოდ ორი კვირის დაგვიანებით.“

„ვეჭვობ, რომ პარიზში იცოდნენ, რას წარ-
მოადგენს სუფრა თბილისში, რასაკვირველია
ქართული სუფრა.“

„ქართველები უმამაცესი ხალხია. ამაში
უკვე აღარავის ეპარება ეჭვი.“

„ერთი სიმამაცით განთქმული რუსი, გვა-
რად შერემეტივეი მეუწმებოდა: ქართველები
უნდა ნახოთ ომში. ამ ომში ისინი ნამდვილ

ტიტანებს მოგვაგონებენ და მზად არიან, ცაზე
მიიტანონ იერიში.“

„თბილისში ერთ იარაღის მალაზიაში ხან-
ჯალს ვყიდულობდი. გაიარა თავადმა ერის-
თავმა. ერთმანეთს არ ვიცნობდით. როცა მო-
ახსენეს ვინც ვიყავი, მოგვიახლოვდა და ჩემს
თარჯიმანს უთხრა: ბატონ დიუბაის უთხაროთ,
ამათგან არაფერი იყიდოს, ფულს დასტყუ-
ებენ და უხეირო საქონელს მისცემენ.“

თავად ერისთავს კეთილი რჩევისათვის
მადლობა გადაუხადე და გზა განვაგრძე, თან
ქამარში გავეთვალე ხანჯალს გავაყოლე თვა-
ლი. შინ რომ დავბრუნდი, ერისთავისაგან გა-
მოგზავნილი სურათი და ხანჯალი დამხვდა.“

„ეს იყო ქართული ხასითის გამომჟღავნება.“

„პატივი მქონდა, პეტერბურგში გამეცნო
სამეგრელოს მთავრის დადიანის მეუღლე
(ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა — ავტ.). ძნე-
ლი იქნებოდა სილაგაჟის ამაზე უფრო მდი-
დარი ნიშნის სადმე ნახვა. მას ოთხი ერთი
მეორეზე ლამაზი შვილი ჰყავს. დედასთან ერ-
თად ისინი ქმნიან ანტიკური სიძველის ღირ-
სეულ ჯგუფს.“

თბილისში დიუბაი თითქმის ყველა თვალ-
საჩინოებას გაეცნო. მან მოინახულა ქართული
თეატრის დიდებული შენობაც, რომელსაც
ყველა სტუმარი აღტაცებაში მოჰყავდა. თე-
ატრის შენობა იდგა ახლანდელ თავისივე
ბის მოედანზე და მე-19 საუკუნის მეორე ნა-
ხევარში ხანძარს შეწირა. დიუბაი თეატრის
შენობისა და მაცურებლების სილაგაჟზე წა-
რუშული შთაგაქდილავა მოახდინა. დიუ-
ბა წერს: „უნდა გამოვთქვადე, რომ ვესტიბიულში
შესვლისთანავე განცვიფრებაში მომიყვანა
ორნამენტის სადა და დახვეწილმა სტილმა.
ისეთი გრძობა მქონდა, თითქოს პომპეუსის
თეატრის ვესტიბიულში შევედი. ზემოთა ფო-
იები ორნამენტი არაბული ჩუქურთმით შეი-
ვალა. შევედი დარბაზში, რომელიც ფერი-
ათა სასახლე ვეგონებდა, არა მისი მდიდრე-
ლი მორთულობით, არამედ იმით, რომ უფა-
ქიზისი ვემოგონებოდა შესრულებული. უყოყ-
მანოდ შეიძლება ითქვას, რომ თბილისის სა-
თეატრო დარბაზისთან თვალწარმტაცად და-
რბა ჩემს სიცოცხლეში არსად მენახა. ისიც
უნდა დავძინო, რომ პირმშვენიერი მანდი-
ლოსნები კიდევ უფრო ამშვენიებენ ამ ლამაზ
დარბაზს, რომელსაც მადლობა ღმერთს,
ვერც არქიტექტურისა, ვერც დეკორატიული
თვალსაზრისით ვეღარავინ ვუსურვებ. ფარ-
და საუცხოოა.“

„ლომბარდიელების პირველ მოქმედება-
ზე ეს ლამაზი ფარდა გაიხსნა. ოპერა მეტად
მოსაწყენი და ერთფეროვანია, მაგრამ მშვე-
ნიერად მღეროდნენ. ასეთი დასის ნახვა თბი-
ლისში მართლაც რომ განსაცვიფრებელი
მოვლენაა.“

სწოვითა ფრანგმა მოგზაურ-გოგა-
ნიკოსმა უროვან ვიტონ დე ტურნეფორმა
(1656-1708) 1700-1702 წლებში იმობა-
ურა აღმოსავლეთის
ქვეყნებში და 1701
წელს საქართველოსს
ენვია. ტურნეფორმა
დაგვიტოვა ფრიალ სა-
ყურადღებო ცნობები
საქართველოს შესახებ.



ანზორ თოთაძე
(გაბრიელა მორის ნიშნად)



განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306¹6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემტი პოლიტიკა“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თამარ ოსიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

- აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
- უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თამარ ოსიაშვილი (პ/ნ 40001032266), სიღნაღის რაიონი, სოფელი საქობო, პირველი ქ. N72
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: სიღნაღის რაიონი, სოფელი საქობო, პირველი ქ. N72 (საკადასტრო კოდი: 56.03.56.169)
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდასმავალი სანივთო ვალდებულებებით.
 - უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 41427.83 ლარი.
 - აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 20 მარტი, 12:00 საათი.
 - აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 3 აპრილი, 14:00 საათი.
 - აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
 - ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP124615126; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1246151
 - მოვალე:** ილია მანიაშვილი (პ/ნ 40801042159), სიღნაღის რაიონი, სოფელი საქობო, პირველი ქ. N72; თამარ ოსიაშვილი (პ/ნ 40001032266), სიღნაღის რაიონი, სოფელი საქობო, პირველი ქ. N72
 - აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემტი პოლიტიკა“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.
 - აუქციონის პირობები:**
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის გენერირება უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემტი პოლიტიკა“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თბილისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
 - აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP124615126; ლოტის ნომერი: 1246151). ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2026 წლის 3 აპრილის 10:00 საათამდე.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306¹6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემტი პოლიტიკა“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თამარ ოსიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

- აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
- უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თამარ ოსიაშვილი (პ/ნ 62005026533), ზუგდიდის რაიონი, სოფელი ორულუ, მერამ კოსტავას ქუჩა N17
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ზუგდიდის რაიონი, სოფელი ორულუ (საკადასტრო კოდი: 43.27.41.570)
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდასმავალი სანივთო ვალდებულებებით.
 - უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 42987.44 ლარი.
 - აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 20 მარტი, 12:00 საათი.
 - აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 3 აპრილი, 14:15 საათი.
 - აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
 - ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP124616026; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1246160
 - მოვალე:** თამარ ოსიაშვილი (პ/ნ 62005026533), ზუგდიდის რაიონი, სოფელი ორულუ, მერამ კოსტავას ქუჩა N17; ვალერი თოდუა (პ/ნ 62005021853), ზუგდიდის რაიონი, სოფელი ორულუ; ონისე თოდუა (პ/ნ 62005026532), ზუგდიდის რაიონი, სოფელი ორულუ; ლარისა ესართია (პ/ნ 62005005502), ზუგდიდის რაიონი, სოფელი ორულუ.
 - აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემტი პოლიტიკა“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.
 - აუქციონის პირობები:**
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის გენერირება უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემტი პოლიტიკა“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თბილისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
 - აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP124616026; ლოტის ნომერი: 1246160). ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2026 წლის 3 აპრილის 10:00 საათამდე.

სანთელი



გიორგი გოგოლაშვილი

იგი მოელმა ვერისმა დაიტრია. სხვაგვარად არც იქნებოდა – ოღბაღის მადლი ხომ განსაკუთრებულია, მეტადრე – უმარავ თვისტომსა და საყვარელ კუთხეზე გადაყოლილი კაცისათვის.

შპს მისამარ ცნობილი საზოგადო მოღვაწე გახლდათ, რომელსაც არც თანამდებობები დაკლებია და არც მომფერებლები, გენგაფი – მამულები, მაგრამ მოლოდინე ღირსეულ მამულიშვილად დარჩა და ასეთად გავის-სენებთ ყოველთვის.

პროფესიონალიზმით, პრინციპულობით, ეროდიციით გამოირჩეული პიროვნება რომ იტყვიან, სწორედ მასზეა შედგამოჭრილი.

დიდი სამეგობროს აღიარებულ ლიდერს, შესანიშნავი ოჯახის თავკაცსა და კეთილშობილების განსახიერებას მხოლოდ რჩეულთათვის დამახასიათებელი ადამიანური შარში ამკობდა.

ალბათ, ამიტომაც უმკლავდებოდა უდრტივებლად ვერავ სენს და, უთანასწორო ბრძოლაში ჩამხული, საზოგადოებაში აქეთ თესავდა იმედსა და ოპტიმიზმს. ასე ხომ სულით ძლიერნი და უტეხნი იქცევიან.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, დამახსურებელი პატივი მივაგოთ ძვირფასი მოკეთის ნათელ სსოვნას და ზეციურ საქართველოში ამაღლებიდან მე-40 დღეს უფაღს მისი მარადიულ სასუფეველში დამკვიდრება ვევედროთ...

მამობრების სახელით –
ბადრი ბარკალაია, შამრო კვიციანი, გიორგი გოგოლაშვილი.

გლობალური ლიბერალური ეპოქა დასრულდა, ახლა ყალიბდება ლოკალური პატრიოტული წესრიგი

– ამის შესახებ განცხადება უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვილფრედმა „პი-ბი-სი-ნიუსთან“ ინტერვიუში გააკეთა.

„ჩემი აზრით, ახალ ეპოქაში ვართ. ეს ცვლილება ბოლო ორ-სამ წელიწადში არ დაწყებულა. ეს ცვლილებით აღრე დაიწყო. ჩემი აზრით, ამჟამად ახალი მსოფლიო წესრიგი ყალიბდება. ჩვენ თანამედროვე პოლიტიკის წინა პერიოდს თუ ვუწოდებთ ლიბერალურ ეპოქას, მაშინ ეს პერიოდი დასრულდა და რაღაც სხვა მოდის. არაფერ მოიფიქრა ახალი ეპოქის ახალი სახელწოდება, თუმცა ჩვენ მას ვეძახით პატრიოტულს, მაგრამ ეს ალბათ მთლად სწორი არაა. ანუ, გლობალური ლიბერალიზმიდან ჩვენ გადავიდებით ლოკალურ პატრიოტიზმზე“, – განაცხადა ორბანმა.



მას ასევე ჰკითხეს ტრამპის მიერ ირანის წინააღმდეგ დაწყებულ ომზე, რაზეც უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ „ჯერ კიდევ საკითხავია, აშშ-ის პრეზიდენტმა ომი დაიწყო თუ მშვიდობა“.

„ჯერ საკითხავია, ტრამპმა ომი დაიწყო თუ მშვიდობა. ამას ისტორიკოსები გადაწყვეტენ, რადგანაც, როგორც მე მესმის, მისი განზრახვა და ეს გაგება დაფუძნებულია ტრამპთან რამდენიმე კვირის წინ გაშიშვლებულ გამართულ საუბრებზე. ტრამპი მიიჩნევს, რომ ირანი არის ომის წყარო და ირანზე დარტყმა ნიშნავს მოქმედებას ომის შტაბ-ბინის წინააღმდეგ. ამიტომ დროა საჭირო, რათა გავიგოთ, მშვიდობისკენ მივებმართებით ამ დარტყმებით თუ ომისკენ“, – განაცხადა ორბანმა. მისივე თქმით, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში წინა კონფლიქტების გამოცდილება აჩვენებს, რომ აშშ ახალი გაცხადებული ომის საფრთხის წინაშე დგას.

„ქალიან იოლია ქვეყნის არმიის განადგურება, მაგრამ შემდეგ რთულია ძალაუფლების კონსოლიდაცია. საბოლოო ჯამში, გარკვეულ ცდუნებას, რომ ეს გააკეთო ადგილზე სამხედროების გაგზავნით და შემდეგ, შეიძლება, იქ გაიჭედო“, – ამბობს ორბანი.

ისრაელს მართავს ქსელი, რომელიც საკუთარ თავს სხვაგვარ უპირატესად მიიჩნევს და რეგიონი კატასტროფისკენ მიჰყავს!



ისრაელს მართავს ქსელი, რომელიც საკუთარ თავს სხვაგვარ უპირატესად მიიჩნევს და რეგიონი კატასტროფისკენ მიჰყავს, – ამის შესახებ განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეპ თაიფ ერდოღანმა.

თურქეთის პრეზიდენტის თქმით, თავდასხმები, თავდაპირველად ლაზზე, შემდეგ იემენსა და ლიბანზე და ბოლოს ირანზე, მხოლოდ უსაფრთხოების საკითხებით არ არის განპირობებული.

„ისრაელმა ჩვენი პირველი ქიბლა, ალ-აქსას მეჩეთი მუსლიმი მლოცველებისთვის 17 დღის განმავლობაში დახურა სრულიად თვითნებური მიზეზების გამო და ყოველგვარი უფლებამოსილების გარეშე“, – თქვა ერდოღანმა და დასძინა, რომ ალტერნატიული მიზნის ამოცილებიდან აპოკალიფსურ სცენარებამდე ნარატივების პარალელური გავრცელება აშკარად განზრახ იყო და არა შემთხვევითი. ერდოღანმა განაცხადა, რომ იმ დროს, როდესაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამენებული გლობალური სისტემა ისტორიულ რღვევას განიცდის, ფაქტები მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს ნათლად უნდა მიეწოდოს.

